# ახალი კორონავირუსი (COVID-19)

## რა არის ახალი კორონავირუსი ?

ახალი კორონავირუსი (COVID-19) არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად, 2019 წელს ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა. ჯანმრთელობის ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ახალი ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია და ის ფაქტი, რომ მას აქვს პოტენციალი გამოიწვიოს მძიმე დაავადება და ზოგიერთ შემთხვევაში პნევმონია.

## ვინ იმყოფება რისკის ქვეშ ?

ამჟამად ზოგადი პოპულაციისთვის რისკი დაბალია. ადამიანები რომელთაც არ უმოგზაურიათ დაავდების გავრცელების არეალში არ იმყოფებიან მომატებული რისკის ქვეშ. პირებმა, რომლებმაც იმოგზაურეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ჩამოსვლიდან 2 კვირის განმავლობაში გამოუვლინდათ სიმპტომები, დაუყონებლივ უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას.

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს, ვირუსთან ექსპოზიციის შემდგომ, სიმპტომები გამოუვლინდათ 2 დან 14 დღეში.

## როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?

წვეთოვანი გზით: ხველით, ცემინებით

თვალზე, პირზე და ცხვირზე, დაუბანელი ხელის შეხებით

დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტით- შეხება, ხელის ჩამორთმევა

იშვიათ შემთხვევაში ფეკალიებთან კონტაქტით

## რა არის ახალი კორონავირუსის სიმპტომები?

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ რესპირაციული დაავადებების სიმპტომები, როგორიცაა:

ცხელება

ხველა

სუნთქვის გაძნელება

მძიმე დაავადება

## როგორ უნდა დაიცვათ თავი ახალი კორონავირუსისაგან?

**საზღვარგარეთ მოგზაურობისას გაითვალისწინეთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, იხილეთ NCDC.GE-ზე**

**ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭიროა მიყვეთ გრიპისა და სხვა რესპირაციული დაავადებების პრევეცნიის ზოგად რეკომენდაციებს:**

- **ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი.**
- **ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით;**
- **მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს დაავადებულ ადამიანთან**
- **ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი**

**გახსოვდეთ!** ჯანმრთელმა ადამიანმა ნიღაბი უნდა ატაროს მხოლოდ დაინფიცირეუბულ პირთან მჭიდრო კონტაქტის შემთხვევაში

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
**www.ncdc.ge** ან **www.facebook.com/ncdcgeorgia**
ან დარეკეთ ცხელი ხაზის ნომერზე
**116 001**

12/02/2020

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH